მიხეილ ქანთარია

გეგმა და ბაზარი: რამდენად სწორია მათი ერთმანეთთან შედარება

დღევანდელი მოწინავე ეკონომიკური მეცნიერება (როგორც „დასავლეთის განვითარებული“ ისე „ჩამორჩენილი სამამულო“) გეგმიურ ეკონომიკას უპირისპირებს საბაზრო ეკონომიკას.

ეკონომიკური მეცნიერება თვლის, რომ გეგმიური ეკონომიკა – ეს არის ძალისმიერი რეგულირება როგორც წარმოების, ისე წარმოებული საქონლის და მომსახურების მოხმარება დირექტიული მართვით (მაგ. „ტოტალიტარიზმის “გუნდურ-ადმინისტრაციული სისტემა).

ასევე ეკონომიკური მეცნიერება თვლის, რომ საბაზრო ეკონომიკა ეს არის თვითრეგულირებადი თავისუფალი მოვლენა, სადაც შესაძლებელია:

- აწარმოო რაც გინდა (საქონელი და მომსახურება) და რამდენიც გინდა;
- დაასაქმო რამდენიც გინდა და ვინც გინდა, გადაუხადო ხელფასი რამდენიც გინდა;
- შეისყიდო რაც გინდა და რამდენიც გსურს, ამასთანავე შეიძლება გაყიდო ის, რაც შეისყიდე, ოღონდ უფრო ძვირად.

საბაზრო ეკონომიკის მომხრეები თვლიან რომ, ბაზარი თვითონვე დაარეგულირებს – თუ რამდენი, რა ეღირება და რა სახის პროდუქციაა საჭირო.

სახელმწიფო ბაზარში არ ერევა, აკონტროლებს სახელმწიფო სექტორს და აწარმოებს გადასახადების ამოღებას.

ობიექტურად კი სიტუაციის შეფასებისას ასე არ ხდება. უნდა გავითვალისწინოთ, რომ მართვის ზოგადი თეორიის სქემებიდან გამომდინარე, ეროვნული მეურნეობა წარმოადგენს მართვის ობიექტს და სახელმწიფო ორგანოები კი მართვის სუბიექტს.

მართვა შესაძლებელია წარმოებდეს სამი ხერხით: სტრუქტურული, არასტრუქტურული და კომბინირებული. ამ შემთხვევაში მართვის ზოგადი თეორიის შეხედულების მიხედვით:

გეგმა – არის მიზნების ვექტორი ანუ, ეს არის ცხრილი იმისა, თუ რა არის მისაღწევი კონკრეტულ ვადებში. პირველ ადგილზე ამ ცხრილში განთავსებულია ყველაზე მთავარი მიზანი, მეორეზე ძალიან მთავარი და ა.შ. ხოლო ცხრილის ბოლოსაა მიზნები, რომელთა შესრულებაც შეიძლება დაყოვნდეს.

მაგალითად, სსრკ-ს პარტიულ-სახელმწიფოებრივი წყობილება (გუნდურ-ადმინისტრაციული სისტემა) იყენებდა სტრუქტურული მართვის ხერხს. ანუ ქვეყანაში არსებული გეგმიური ეკონომიკის დროს არსებობდა მიზნების ვექტორი (გეგმა), რომლის მიღწევა ხდებოდა სტრუქტურული მართვის პირობებში.

ე.წ. „პერესტროიკის“ დაწყებისთანავე აღიარებულ იქნა კერძო საკუთრების პრიორიტეტი საერთო საკუთრებასთან მიმართებაში (თუმცა ზუსტი განსაზღვრება ცნებისა, რას ნიშნავს „კერძო“, ჩამოყალიბებული არ იყო). ასევე გამოცხადებული იყო, რომ „მოთხოვნა ბადებს შემოთავაზებებს“. ამასთანავე იგულისხმობდა, რომ ვინაიდან კერძო სექტორისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია მოგება, ის იძულებული იქნება თავისი მოქმედება დაუმორჩილოს მოთხოვნას.

ზოგადი მართვის თეორიის მიხედვით მივდივართ იმ ფაქტამდე, რომ „მთლიანი მოთხოვნა“ არის იგივე „მიზნების ვექტორი“ და ის ფაქტი, რომ ჩვენს ქვეყანაში შექმნილ საბაზრო ეკონომიკაში ეს „მიზნების ვექტორი“ არ არის ცნობილი არც მმართველებისთვის, არც ბიზნესმენებისთვის და არც უბრალო მოქალაქეებისთვის, არ ნიშნავს იმას, რომ „მიზნების ვექტორი“ საერთოდ არ არსებობს.

„მიზნების ვექტორის“ არ არსებობა შეუძლებელია, ვინაიდან ყოველთვის არის „მართვის იერარქია“. ამ კონტექსტში იგულისხმება ის, რომ ნებისმიერი ქვეყნის არაკომპეტენტური ხელმძღვანელების ზურგს უკან გლობალიზაციის პირობებში ყოველთვის გამოიძებნება უფრო ჭკვიანი სუბიექტები, რომლებიც წარმატებით გამოიყენებენ ხელმძღვანელების არაკომპეტენტურობას თავისი მიზნების მისაღწევად.

ამასთან, „მთლიანი მოთხოვნა“ (მიზნების ვექტორი) საბაზრო ეკონომიკის არსებობის პირობებში ძირითადად მიღწეულ უნდა იქნას არასტრუქტურული მართვის ხერხით ანუ როდესაც მართვის სუბიექტის მიერ (მაგ.: სახელმწიფო მმართველობის) სამართავი ზემოქმედება (განკარგულებები, მითითებები, დირექტივები, გადაწყვეტილებები) წარმოებს არა მხოლოდ კონკრეტული მრეწველობის, კომპანიების, ფირმების, ქარხნების და ა.შ. ხელმძღვანელებზე, არამედ სამართავ ზემოქმედებას ახდენენ მთელს საზოგადოებასა და ხალხზეც ამიტომ ყველა ვალდებული ხდება თავისი ინტერესები შეუსაბამოს საზოგადოების წინაშე დასმულ ამოცანებს.

„ბაზარი“ არასტრუქტურული მართვის საკმაოდ კარგი ხერხია, სტრუქტურულთან შედარებით, ვინაიდან უფრო ეფექტიანია და უზრუნველყოფს მართვის მდგრადობას.

მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ „ბაზარი“ არის მხოლოდ მართვის ხერხი, ე.ი. მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთი ელემენტი მართვის სისტემაში, და არა რაიმე სრულფასოვანი თვითკმარი მართვის სისტემა. აქედან გამომდინარე, იმის გაცხადება რომ: „ბაზარი თვითონ დაარეგულირებს ყველაფერს“ (როგორც ამას ამტკიცებენ საბაზრო ეკონომიკის მომხრე ეკონომისტები) ნიშნავს იმას, რომ – მართვის ხერხი თავისით გამოიმუშავებს „მიზნების ვექტორს“ სამართავად. ანუ ხერხი ჩაანაცვლებს მართვის მთელ პროცესს (მართვის სრულ ფუნქციას) და შესაბამისად, ჩაანაცვლებს ინტელექტსაც.

ცხადია, რომ ამის მტკიცება („ბაზარი თვითონ დაარეგულირებს ყველაფერს“) შეუძლიათ მხოლოდ დაბალი კვალიფიკაციის მქონე სუბიექტებს. ასევე „ბაზარი“ ხელს უწყობს ასეთი სუბიექტების წინსვლას მმართველ სტრუქტურებში, რაც, თავის

მხრივ, იწვევს ქვეყანაში ქაოსს (რაც შესაძლებელია გამოიყენონ უფრო მაღალ დონეზე მდგარმა სუბიექტებმა). გარდა ამისა, ეს სიტუაცია ქმნის კონკურენციას ამ არაკომპეტენტურ სუბიექტებს შორის პოსტების დასაკავებლად და ისინიც თავს არ იზოგავენ, რათა დაიკავონ სანატრელი ადგილი. ვინაიდან მათი მუშაობა სახელმწიფო სტრუქტურებში (უფრო სწორედ, მათი ფუნქციონირება ან „დასწრება“) არაფერს არ ავალდებულებს მათ, არ არის პასუხისმგებლობის გრძნობის მომენტი – ყველაფერი შესაძლებელია დაბრალდეს საბაზრო ეკონომიკის „სტიქიას“.

კრედიტის მაღალი პროცენტი ხელს უწყობს არაკომპეტენტურ მმართველებს თავისი უხარისხო მართვისას წარმოქმნილ პრობლემებში. ამ მცდარი სისტემის შედეგების გადატანა კი ხდება უბრალო მშრომელ ხალხზე. საკმაოდ დამაფიქრებელი ხდება ის, თუ რას წარმოადგენენ ან რა სისტემის განვითარებას უწყობენ ხელს თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის მომხრე ეკონომისტები.

შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკის წარმატებული ფუნქციონირებისათვის აუცილებელია არსებობდეს „მიზნების ვექტორი“(გეგმა).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ე.წ. „პერესტროიკამდე“ ყოფილ სსრკ-ში არსებობდა გეგმები, მაგრამ უკვე სხვა საკითხია თუ რითი ხელმძღვანელობდა (და რამდენად პატიოსნად) სამართავი ე.წ. პარტიული „ელიტა“ მათი ფორმირებისას.

ახლა კი გავაანალიზოთ არსებული მდგომარეობა „დროის კანონის“ ჭრილში („დროის კანონი“ – სოციალური და ბიოლოგიური სიხშირეების ცვლილება საზოგადოებაში, რამაც მიგვიყვანა ტექნოლოგიების მრავალჯერად ცვლამდე ერთი თაობის სიცოცხლის მანძილზე. ეს კონკურენციის პირობებში აიძულებს ადამიანებს განუწყვეტელი სწავლის რეჟიმში გაატარონ ცხოვრება).

კრიზისი სსრკ-ს ადმინისტრაციულ-დირექტიული სტრუქტურული მართვისას ობიექტურად წარმოიშვა, ვინაიდან XX საუკუნის შუა პერიოდიდან დაიწყო „დროის კანონის“ მოქმედება და ყველა პროცესი დააჩქარა. ამიტომაც გადაწყვეტილებების მიღება მაშინდელ სსრკ-ს უზარმაზარ ტერიტორიაზე საჭირო იყო მაღალი სისწრაფით. მაგრამ, იმდროინდელი მმართველი გუნდი სსრკ-ს ყველა წერტილში მიჩვეული იყო დალოდებოდა მიღებულ დირექტივებს კრემლიდან. ანუ შეზღუდული იყო პრობლემის დამოუკიდებლად ადგილზე გადაჭრა. ხოლო გადაწყვეტილებები კი კრემლიდან ან იგვიანებდა ან საერთოდ არ მოდიოდა.

ამასთან, ე.წ. „ზასტოის“ პერიოდის წარმოქმნა გამოწვეული იყო სხვადასხვა პრობლემების წარმოქმნისას სწრაფი და ხარისხიანი გადაწყვეტილებების მიღების შეუძლებლობაში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა იმის თაობაზე, რომ თვით საკითხის ამგვარი ფორმულირება – რომელი ეკონომიკაა უფრო ეფექტური: გეგმიური თუ საბაზრო, არის უხეში შეცდომა. ვინაიდან „გეგმის“ დაპირისპირება „ბაზართან“ არ შეიძლება!

„გეგმა“ ეს არის მიზნების ვექტორი (თუ რას უნდა მივაღწიოთ), ხოლო „ბაზარი“ არის ერთ-ერთი ხერხი, თუ როგორ მივაღწიოთ ამ მიზნებს.

მიზანშეწონილი იქნება შემდეგი წარმოდგენითი მაგალითის მოყვანა: დავუშვათ „გეგმა“ ეს არის ქალაქი, სადაც უნდა ჩავიდეთ (მაგალითად თბილისი). „ბაზარი“ – კი ამ შემთხვევაში არის გზა თუ როგორ მივაღწიოთ ჩვენთვის სასურველ ქალაქამდე (ამ შემთხვევაში თბილისში შემომავალი სხვადასხვა ალტერნატიული გზები). მაშინ ის, რასაც აკეთებენ დღევანდელი ეკონომიკური მეცნიერების წარმომადგენლები („გეგმიური ეკონომიკის“ „საბაზრო ეკონომიკასთან“ დაპირისპირებით) გვაძლევს შემდეგ სურათს: ხდება ქალაქის (მაგალითად, თბილისის) შედარება მასში შემომავალ ალტერნატიულ გზებთან, რაც წარმოადგენს უხეშ და ღრმა შეცდომას (ცნებების ერთმანეთში სრულ არევას).

იმისათვის, რომ სახელმწიფოში ეკონომიკური სიტუაცია უკეთესობისკენ გადაიხაროს, საჭიროა მათმა მმართველებმა როგორც სტრუქტურული, ისე არასტრუქტურული მართვის (ამ შემთხვევაში „ბაზარი“) ხერხით იხელმძღვანელოს (კომბინირებულად). ეკონომიკა უნდა წარმოებდეს შემდეგნაირად:

- პერსპექტიული (გრძელვადიანი, სტრატეგიული) პროგნოზირებადი გეგმები;
- საშუალო ვადის მქონე (მაგალითად 5-7 წლის) გეგმები;
- წლიური გეგმები.

პერმანენტულად საჭიროა ხდებოდეს ყველა ამ გეგმის კორექტირება (დაზუსტება) სხვადასხვა სიტუაციების წარმოქმნისას.

МИХАИЛ КАНТАРИЯ

РЫНОЧНАЯ И ПЛАНОВАЯ ЭКОНОМИКА, МОЖНО ЛИ ИХ СОПОСТАВЛЯТЬ?

Р е з ю м е

В статье с позиций Концепции общественной безопасности рассматриваются вопросы рыночной и плановой экономики в нынешних условиях глобализации. Рассмотрена суть плановой и рыночной экономики. Показаны причины некорректности сравнения рынка и плана. Предложена идея возможно лучшего решения для поднятия эффективности экономики в нынешних условиях.

MICHAEL KANTARIA

MARKET ECONOMY VS. PLANNED ECONOMY, CAN WE JUXTAPOSE THEM?

S u m m a r y

The given article examines market and planned economies from the view of Concept of public security. It regards to the essence of market and plan-based economies. The article describes ill-posedness of comparing the market and the plan and suggests possibly a better decision for increasing economic efficiency.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Петров К. «Тайны управления человечеством» М., 2009.
2. «Мертвая вода». Том 1” – “ВП СССР”, კიტეჟი, 2004 წ.;